Georgia`s Environmental Outlook

28.02.2023

01/02-001

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ შალვა პაპუაშვილს

ასლი: საქართველოს პარლამენტის
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს
ქალბატონ მაკა ბოჭორიშვილს

ასლი: საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს
ქალბატონ მაია ბითაძეს

ბატონო შალვა,

გვინდა გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია *„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“* შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით.

ჩვენში დიდ ეჭვს იწვევს კანონპროექტის გაცხადებული მიზანი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის თაობაზე და ვთვლით, რომ „უცხოური გავლენის აგენტად“ რეგისტრაციის მოთხოვნა არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებისათვის დისკრიმინაციულია და შეიცავს მათზე ზეწოლისა და შევიწროების მაღალ რისკებს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბუნდოვანია კანონპროექტის შემუშავების საფუძველი. კანონპროექტის განმარტებით ბარათში არ არის ახსნილი, კონკრეტულად რა საფრთხეების იდენტიფიცირებას და პრევენციას უნდა ემსახურებოდეს კანონი, მიღების შემთხვევაში. აღნიშნული არ იკითხება კანონპროექტის ტექსტშიც.

კანონპროექტის ერთ-ერთი სამიზნის - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (ააიპ) საქმიანობის არათუ 20%-იანი, არამედ თითქმის 100%-იანი ფინანსური მხარდაჭერა დღესდღეობით საქართველოში სწორედ კანონპროექტით განსაზღვრული „უცხოური ძალის“ მიერ ხდება. შესაბამისად, კანონპროექტის მიხედვით ყველა ააიპ-ად რეგისტრირებული ორგანიზაცია ავტომატურად გახდება ე.წ. „უცხოური გავლენის აგენტი“. როგორც მოგეხსენებათ, ნებისმიერი ააიპ რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, თითოეული ააიპ-ის მიერ რეგულარული ანგარიშგება განხორციელებული პროექტებისა თუ ღონისძიებების შესახებ კეთდება როგორც დონორი ორგანიზაციის, ასევე პროექტის ფარგლებში გაწეული მომსახურებისა თუ შედეგების მიმღები ბენეფიციარი სტრუქტურების წინაშე, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო უწყებებს წარმოადგენენ. აღნიშნული ინფორმაცია, როგორც წესი, თავსდება ორგანიზაციის ვებგვერდზე და ფართოდ ვრცელდება როგორც სოციალური, ასევე სხვა მედია საშუალებებით. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ დამატებითი რეგისტრაციის მოთხოვნა ემსახურება საზოგადოების თვალში ორგანიზაციების სტიგმატიზაციას, მათი მხრიდან თავის ე.წ. „უცხოური გავლენის აგენტად“ დეკლარირებით. გამომდინარე აქედან,

#10 Odessa Street
Tbilisi 0160 Georgia
Tel.: +995 596 22 48 48
+995 599 23 58 61
E-mail: info@geo.org.ge
Web-site: www.geo.org.ge

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ვებგვერდზე ოფიციალურად გამოქვეყნებული კანონპროექტი, ერთი შეხედვით, თითქოსდა არ ზღუდავს „ამ კანონის საფუძველზე უცხოური გავლენის აგენტად რეგისტრირებული სუბიექტის საქმიანობას“, მისი **მიღება მაღალი რისკის ქვეშ აყენებს არასამთავრობო სექტორის საქმიანობას და მდგრადობას, ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების უსაფრთხოებას, სიტყვის თავისუფლებას და სხვა მრავალ ღირებულებას, რაც არათავსებადია ქვეყნის მიერ გაცხადებულ დემოკრატიული განვითარების კურსთან.**

უნდა ითქვას ისიც, რომ ესა თუ ის პროექტი, რომელიც ხორციელდება, ან რომლის განხორციელებაში მონაწილეობს ადგილობრივი ააიპ, როგორც წესი, წარმოადგენს საქართველოს მთავრობასა და ამა თუ იმ დონორ ორგანიზაციასა თუ ქვეყანას შორის წინასწარ შეთანხმებული, ქვეყნისათვის პრიორიტეტული მიმართულებების მხარდაჭერის ფართო პროგრამის ნაწილს და შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია ასეთი ორგანიზაციების საქმიანობა განხილულ იქნეს „უცხოური ძალის“ გავლენის მცდელობად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **პროექტები, რომლებიც დონორი ორგანიზაციების მიერ ფინანსდება, ავტორიზებულია საქართველოს მთავრობის მიერ და ამ პროექტების განხორციელება ადგილობრივი ააიპ-ების მიერ საქართველოს სახელმწიფოს გაცხადებულ ინტერესებს ემსახურება.** შესაბამისად, გაუმართლებელია მსგავსი ორგანიზაციების „უცხოური გავლენის აგენტებად“ მოხსენიება. ამასთანავე, ააიპ-ების დამფინანსებელი ორგანიზაციები ფინანსურ მხარდაჭერას უწევენ თვითონ სახელმწიფო სტრუქტურებსაც და წინააღმდეგობრივია, რომ ერთი და იგივე წყაროდან დაფინანსებული ორი ორგანიზაციიდან ერთი (ააიპ) განიხილებოდეს „უცხოური გავლენის აგენტად“, ხოლო მეორე (სახელმწიფო სტრუქტურა) - ეროვნული ინტერესების გამტარებლად. იმავდროულად, **ქვეყნის ინტერესების და მისი ევროპული მომავლისთვის დამაზიანებელია პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების „უცხოურ ძალად“ შერაცხვა** მაშინ, როცა სწორედ ამ ორგანიზაციების საშუალებით ხდება ქვეყნის მიერ დეკლარირებული ეროვნული ინტერესების განხორციელება, როგორიცაა, მაგალითად, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულება, საერთაშორისო ხელშეკრულებების განხორციელება, დემოკრატიული პრინციპების დანერგვა, რეფორმების გატარება სხვადასხვა სფეროში, ცოდნის გადაცემა, სხვადასხვა ინსტიტუტის შესაძლებლობების გაძლიერება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სხვა.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათი აპელირებს აშშ-ში, ავსტრალიასა და ისრაელში არსებულ მსგავს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. თუმცა, გარდა იმისა, რომ შემოთავაზებული კანონპროექტი შეუთავსებელია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, მისი გაიგივება აღნიშნული ქვეყნების კანონებთან მათი საკანონმდებლო სისტემის ზოგადი კონტექსტიდან ამოგლეჯილად, საზოგადოების შეცდომაში შეყვანაა. **ზემოხსენებულ ქვეყნებში მითითებული კანონმდებლობის მიღების კონტექსტი და ამ კანონმდებლობის მიზნები სრულიად განსხვავებულია საქართველოში დღეს არსებული კონტექსტისა და მოცემული კანონპროექტის მიზნებისგან.** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონპროექტის მსგავსი კანონის მიღება რუსეთში სავალალო შედეგებით დასრულდა არასამთავრობო სექტორისა და დამოუკიდებელი მედიისთვის. ხოლო უნგრეთში ანალოგიური კანონი გაუქმდა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილების და მისი აღსრულებისთვის ევროკომისიის მიერ დაწყებული პროცედურის საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საფუძვლიან ეჭვს იწვევს მოცემულ კონტექსტში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის ინიცირების

მართებულობა და ვფიქრობთ, რომ **ამ კანონპროექტის შემდგომი განხილვა (და მით უმეტეს მისი მიღება) ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს, რომლის გაცხადებული მიზანიც ევროინტეგრაცია და შესაბამისად, დემოკრატიზაციის პროცესის გაღრმავებაა.**

პატივისცემით, GEO-ს გუნდის სახელით

სოფიო ჭიჭინაძე

გამგეობის თავმჯდომარე
Georgia's Environmental Outlook (GEO)

#10 Odessa Street
Tbilisi 0160 Georgia

Tel.: +995 596 22 48 48
+995 599 23 58 61

E-mail: info@geo.org.ge
Web-site: www.geo.org.ge